ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ

დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ცირა შუბითიძე - კოლეგიის თავმჯდომარე

არჩილ კბილაშვილი - კოლეგიის წევრი

გიგა კვერენჩხილაზე - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი - ნ. ნ.

საჩივრის რეგისტრაციის №014/11

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 11.02.2011

გადაწყვეტილების მიღების თარიღი: 10.03.2011

ადვოკატი, რომლის მიმართაც არის საჩივარი შემოტანილი: ზ. თ.

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ღონისძიების გამოყენება; თანხის დაბრუნება.

საპროცესო კოლეგიის გასაუბრება საჩივრის ავტორთან ბატონ ნ. ნ. და ადვოკატ ზ. თ. შედგა 2011 წლის 24 თებერვალს, სადაც მხარეებს განემარტათ ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულებით დადგენილი უფლება-მოვალეობები.

აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1. საჩივრის ავტორის განმარტებით, 2007 წლის 26 იანვარს სასამართლოს გადაწყვეტილებით საპროცესო გარიგების საფუძველზე მისი ნათესავი ბ. კ. იხდის

სასჯელს 7 წელს რუსთავის #2 კოლონიაში, ადვოკატი ზ.თ. მას შეპირდა რომ საქმეს დაარღვევდა ახლად აღმოჩენილი გარემოებების აღმოჩენის საფუძველზე.

1.2. საჩივრის ავტორი უთითებს, რომ საადვოკატო მომსახურების ღირებულება იყო 1300 ლარი, საიდანაც ადვოკატს გადაუხადა 800 ლარი. მიაჩნია, რომ ადვოკატი ატყუებდა, ვინაიდან საპროცესო შეთანხმების საფუძველზე დამთავრებულ საქმეზე განაჩენი აღარ საჩივრდებოდა.

1.3. განმცხადებელი უთითებს, რომ საბოლოოდ ადვოკატთან შეთანხმდა 400 ლარის დაბრუნებაზე, თუმცა მეორე წელია მას ადვოკატი თანხას არ უბრუნებს, რის გამოც მათ შორის ჩამოყალიბდა ცუდი ურთიერთობა. მხარე ითხოვს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის დახმარებას, რათა ადვოკატმა ზ. თ. დაუბრუნოს საჩივრის ავტორს თანხა 400 ლარი.

1.4. საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ ადვოკატმა დაარღვია ეთიკის ნორმები ითხოვს ადვოკატის მიმართ დევნის აღძვრას და თანხის დაბრუნებას.

2. **ადვოკატის ახსნა-განმარტების მიხედვით:**

2.1. ადვოკარმა ზ. თ. წარმოადგინა ახსნა-განმარტება. განმარტების თანახმად, იგი არ ეთანხმება ნ. ნ. საჩივარს, მიაჩნია, რომ არ შეესაბამება სინამდვილეს და აღნიშნა, რომ მას ნ. ნ. არანაირი ურთიერთობა საქმესთან დაკავშირებით არ ჰქონია და არც ხელშეკრულება გაუფორმებია. 2008 წლის 7.03-ს კ. კ. /მსჯავრდებულ ბ. კ. ძმასა / და საადვოკატო ფირმას შორის გაფორმდა ხელშეკრულება/წარმოადგინა ასლი/, სადაც მითითებულია გასამრჯელო 1300 ლარი. ხელშეკრულების მხარეები არიან კ. კ. და ადვოკატი მ. გ.

2.2.ადვოკატმა აღნიშნა, რომ დაცვას აწარმოებდა ორი ადვოკატი, თვითონ და მ. გ. თანხის დაბრუნებაზე ლაპარაკი არც ყოფილა, მიაჩნია რომ აქეთ აქვთ გადასახდელი 500 ლარი.

2.3. ადვოკატი აღნიშნავს, რომ არ ეთანხმება საჩივრის ავტორს და საჩივარი მიაჩნია უსაფუძვლოდ, მან მიმართა განცხადებით მთავარ პროკურორს ახლად აღმოჩენილი გარემოების გამო საქმის გადასინჯვის შესახებ, ასევე შეადგინა სასარჩელო განცხადება სამოქალაქო სარჩელზე, თუმცა მხარემ არ ისურვა მისი სასამართლოში სარჩელის შეტანა.

სამოტივაციო ნაწილი:

2011 წლის 24 თებერვალს შედგა დისციპლინური დევნის შესახებ საჩივრის განხილვა.კოლეგიამ შეისწავლა საქმის მასალები, მიიჩნია, რომ არ არსებობს საკმარისი

საფუძვლები ადვოკატ ზ. თ. მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დევნის აღსაძრავად. არ არის დარღვეული ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი.

3. უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

3.1 ადვოკატი ზ. თ. არის სსიპ-საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი.

4. **შემაჯამებელი დასკვნა**

4.კოლეგიას მიაჩნია, რომ ნ. ნ. მიერ წარმოდგენილი საჩივარი დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო.

4.2 კოლეგია აღნიშნავს, რომ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის დარღვევას წარმოდგენილ საჩივარზე ადგილი არ აქვს. საქმის მასალებით დადასტურებულია, რომ საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება გაფორმებულია ბ-ნ კ. კ. და ადვოკატ მ. გ. შორის, ადვოკატი ზ. თ. არ უარყოფს, რომ ისიც მონაწილეობდა აღნიშნულ ხელშეკრულებაში, თუმცა მიიჩნევს, რომ მისი მხრიდან არ ქონია ადგილი მოტყუებას და რაც განსახორციელებელი იყო გააკეთა, საჩივრების შეტანის გზით, რათა მაქსიმალურად დაეცვა კლიენტის უფლებები, თუმცა პროკურატურამ არ დააკმაყოფილა საჩივრის მოთხოვნები.

4.3. კოლეგია საჩივრის ავტორს განუმარტავს, რომ მისი პრეტენზიები ადვოკატისაგან თანხის დაბრუნების მოთხოვნაზე არ არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის კომპეტენცია, და ინტერესების ფარგლებში არსებული ხელშეკრულების მხარეს აქვს უფლება მიმართოს სამოქალაქო სასარჩელო განცხადებით სასამართლოს შესაბამისი მოთხოვნით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა რა ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლით, ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების მე-19 მუხლით, 27-ე, 28-ე, 30-ე და 31 მუხლებით:

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. საჩივრის ავტორს ნ. ნ. უარი ეთქვას ადვოკატ ზ. თ. მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრაზე.

2. გადაწყვეტილება გადაეცეთ მხარეებს.

3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: ცირა შუბითიძე

კოლეგიის წევრი: არჩილ კბილაშვილი

კოლეგიის წევრი: გიგა კვერენჩხილაძე